№ 203 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. ოთხშაბათი, სექტემბრის 8 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

კანტორისაგან.

ხელფასისა და ქაღალდის საგრძნობად გაძვირების გამო 1 სექტემბრიდან გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირდება თვეში 200 მ. ცალკე ნომერი ყველგან 10 მ.

გაზეთი 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე ღირს **800 მ.** ვისაც გაზეთი გამოწერილი აქვს ძველ ფასებში მან უნდა გამოგზავნოს დამატებითი ფასი თვეში 130 მანეთი, წლის ბოლომდე დასამატებელი 520 მანეთი.

საერთო განცხადების ფასი 1 გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მან., 4 გვერდზე 10 მან., ხოლო საბუთების დაკარგვის შესახებ განცხადებანი 160 მანეთი, სამოსამართლო უწყების სავალდებულო განცხადებანი 100 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომა (15×2) 300 მანეთი. ნისია განცხადების დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 პროც. კერძო პირების განცხადებანი **ნისიად არ დაიბეჭდება.**

უფასოდ განცხადებები არ დაიბეჭდება

და მათ შესახებ კანტორა არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს.

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ტფილისის ცენტრალურ ფოსტის შენობაში (პლეხანოვის პროსპ.)

გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის კურსები

სადაც ამზადებენ ფოსტა-ტელეგრაფის ყველა სპეციალობის მოხელეებს. კურსებზე მიიღება საქართველოს ყოველი ქართული ენის კარგათ მცოდნე მოქალაქე 18 წლიდან 25 წლამდე, რომელიც 15 სექტემბრამდე შემოიტანს თხოვნას ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში შემდეგი მოწმობებით: 1) განათლების (არა ნაკლებ უმაღლეს პირველ დაწყების სასწავლებლის მთელი კურსისა), 2) დაბადების მეტრიკას, 3) ჯანმრთელობის (საერობო ან საქალაქო ექიმისაგან) და 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი. კურსები და პრაქტიკული მეცადინეობა გაგრძელდება ერთი წელიწადი. მოწაფეებს მიეცემათ უწყების სტიპენდია თვითეულს თვეში 1000 მანეთი. მოწაფეები კურსების ღირსეულათ დამთავრებისათანავე ჩაირიცხებიან სახელმწიფო სამსახურში.

876 3—3

გამგეობა კავკასია-თურქესტანის საპაიო ამხანაგობისა „ზ. ა. ჯორჯაძე და ძმ. აგრიევები“

იწვევს ამხანაგობის წევრთ

საგანგებო საზოგადო კრებაზე დასასწრებლად

რომელიც მოხდება 1920 წელს, სექტემბრის 30-ს დღის 12 საათზე, ქალ. ტფილისში, სახლი № 14 რუსთაველის პროსპექტზე გამგეობის, სხვა ორგანოების და თანამდებობის პირთა ასარჩევად.

880 1—1

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს, ტფილისის ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენში“ განათლების სამინისტროს ნება დართვით, გაიხსნება 8 თვიანი უფასო

ქართული

ტან-ვარჯიშული სკოლა.

სკოლაში მიიღება ორივე სქესის პირები, საშუალო განათლებით აღჭურვილნი, არა უმცირესნი 18 წლისა და ჯანსაღნი. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე შეიძლება ჩაირიცხონ საშუალო სასწავლ. 6 კლასის და ბოლოს 4 კლასის კურსდამთავრებულნი. სწავლა იწარმოებს დილის 8 საათიდან 1-ლ საათამდე.

ყველა კურსდამთავრებულთ მიეცემათ შტატის ადგილი ტან-ვარჯიშობის მასწავლებლისა რესპუბლიკის სასწავლებელში.

თხოვნები, სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ, მიიღება ყოველ დღე დილის 12-დან —1-ლ საათამდე არა უგვიანეს 15 სექტემბრისა განათლების სამინისტროში ტან-ვარჯიშობის მთავარ ინსტრუქტორის სახელზე. თხოვნასთან უნდა იქნას წარმოდგენილი მოწმობები: 1) განათლების შესახებ და 2) მეტრიკული.

სწავლის დაწყებამდე ყველა მსმენელები გაშინჯულ იქნებიან ექიმების მიერ.

859 6—6

სახელმწიფო თეატრი.

ბალეტის სკოლა

იღებს მოწაფეებს ვაჟ და ქალთ 9-დან 16 წლამდე. ჩაწერა შეიძლება თეატრის კონტორაში 11-დან 2 საათამდე.

გამოცდა 15 სექტემბერს.

878 2—2 სკოლის დირექტორი **მ. ი. პერინი.**

კბილის საექიმო და ტექნიკური ლაბორატორია

ა. პ. კალანდაძისა.

ჩადგმა ყოველგვარ ხელოვნურ კბილებისა, ოქროს ფესვები, პლასტინკით და უპლასტინკოთ, გასწორება ბრუდე კბილებისა და ყოველ ნაირი ბატარეტომები. ვაკეთებ „პლომბებსაც“. მისამართი: ბროსეს ქუჩა, № 4, ეზოში.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს საჯარო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 10 სექტემბერს სადგურ ქსანზე დილის 10 საათზე დანიშნულია დაკანონებული

განმეორებითი საჯარო ვაჭრობა

69 სულის მსხვილ ფეხა საქონლის გასაყიდათ. პირობების გაგება შეიძლება საჯარო განყოფილებაში ყოველ დღე 11 საათიდან 2 საათამდე.

881 1—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

24 ივლისი, 1920 წ., № 136.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა, საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის რეგისტრატორი ალექსანდრა იაკობის ასული ლომაია ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 137.

დანიშნულ იქმნეს: საბიუჯეტო სახაზინო ნაწილში რეგისტრატორის თანამდეობაზედ შალვა იაკობის ძე ლომაია ამა წლის ივლისის 22-დან.

№ 138.

დანიშნულ იქმნეს: ტფილისის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ ნინა მიხეილის ასული იოსელიანისა ამა წლის ივლისის 26-დან.

№ 139.

დათხოვნილ იქმნეს: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა გორის ხაზინის I ხარისხის ბუხჰალტერი იოსებ ივანეს ძე მელიქიშვილი ამა წლის ივლისის 1-დან.

№ 140.

დანიშნულ იქმნას: გორის ხაზინის მე-II ხარისხის ბუხჰლტერი დავით მოსეს ძე სოლოლოვი ამავე ხაზინაში I ხარისხის ბუხჰალტრის თანამდებობაზედ ამა წლის ივლისის 1-დან.

№ 141.

დანიშნულ იქმნას: ახალ-ქალაქის ხაზინაში დროებით აღმასრულებლად რეგისტრატორის თანამდებობაზედ მოქალაქე ალექსანდრე პეტრეს ძე კიადიკოვი ამა წლის ივლისის 10-დან.

142.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა, ტფილისის ხაზინის უფროსი ბუხჰალტერი იაკინტე ერასტის ძე ნიორაძე ამა წლის ივლისის 1-დან

№ 143.

დანიშნულ იქმნას: ქუთაისის ხაზინის რეგისტრატორი კალისტრატე ლორთქიფანიძე იმავე ხაზინაში მოანგარიშე მოხელეს თანამდებობაზედ ამა წლის ივლისის 16-დან.

№ 144.

თავისუფლება მიეცეს: ერთი თვის ვადით, ჯამაგირის შენახვით, გორის ხაზინის ხაზინადარს არჩილ როსების ძე ნინიაშვილს ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 145.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა გორის ხაზინის I ხარისხის ბუხჰალტერი გრიგოლ იასეს ძე გოგიბედაშვილი ამა წლის ივლისის 6-დან.

№ 146.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა, გორის ხაზინის I ხარისხის მოლარე დავით ივანეს ძე ბაგრატაშვილი ამა წლის ივლისის 6-დან.

31 ივლისი, 1920 წ., № 147.

დანიშნულ იქმნას: საბიუჯეტო სახაზინო ნაწილში რეგისტრატორის თანაიდებობაზედ ელისაბედ ნიკოლოზის ასული დე-ნორმან ამა წლის ივლისის 24-დან.

№ 148.

მიეცეს თავისუფლება: ერთი თვის ვადით ჯამაგირის შენახვით საბიუჯეტო სახაზინო განყოფილების ბუხჰალტრის თანაშემწეს გრიგოლ ვასილის ძე საღარაძეს ამა წლის ივლისის 27-დან.

№ 150.

მიღებულ იქმნას: ტფილისის საზინაში როგორც დროებით დაქირავებული, რეგისტრატორის თანამდებობაზედ მარიამ დიმიტრის ასული ბოკერია ამა წლის ივლისის 27-დან.

№ 151.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ახალქალაქის ხაზინის რეგისტრატორი ვერა გრიგოლის ასული ანცევი ამა წლის ივნისის 1-დან სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

№ 152.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და

სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა, სილნაღის ხაზინის ნაფიცი მთვლელი ზაქარია დიმიტრის ძე მინჯიაშვილი აია წლის ივლისის 1-დან.

№ 153.

დანიშნულ იქმნას: ჭიათურის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზე შალიკო ვლადიმერის ძე გვიმრაძე ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 154.

დანიშნულ იქმნეს: საბიუჯეტო სახაზინო ნაწილში რეგისტრატორის თანამდებობაზედ ეკატერინე ფილიპეს ასული შეტრეველი ამა წლის ივლისის 28-დან.

№ 155.

დანიშნულ იქმნახ: ზესტაფონის ხაზინის მე-2 ხარისხის ბუხჰალტერი ნიკოლოზ თუთბერიძე ბათომის ხაზინაში პირველ ხარისხის მოლარის თანამდებობაზედ ამა წლის ივლისის 15-დან.

№ 156.

დანიშნულ იქმნახ: ბათომის ხაზინაში ნაფიც დამთვლელის თანამდებობაზედ ალექსი როშჩეკინი ამა წლის ივლისის 15-დან.

№ 157.

დანიშნულ იქმნახ: ბათომის ხაზინაში ივანე რიაბჩენკო ნაფიც დამთვლელის თანამდებობაზედ ამა წლის ივლისის 15-დან.

№ 158.

დანიშნულ იქმნახ: ბათომის ხაზინაში ნაფიც დამრვლელის თანამდებობაზედ მიხეილ უტიანსკი ამა წლის ივლისის 15-დან

№ 159.

დანიშნულ იქმნახ: ბათუმის ხაზინაში ნაფიც დამთვლელის თანამდებობაზედ ივანე ალექსის ძე ბოიკო ამა წლის ივლისის 15-დან.

№ 160.

დანიშნულ იქმნახ: ბათომის ხაზინაში ნაფიც დამთვლელის თანამდებობაზედ ანდრო რუდენჩენკო ამა წლის ივლისის 15-დან.

№ 161.

დანიშნულ იქმნახ: ბათუმის ხაზინაში ნაფიც დამთვლელის თანამდებობაზედ დიმიტრი გრიგოლის ძე სტრანადკო ამა წლის ივლისის 15-დან.

№ 162.

დანიშნულ იქმნახ: ბათუმის ხაზინაში ნაფიც დამთვლელის თანამდებობაზედ სერგო ალექსანდრეს ძე ალექსეევი ამა წლის ივლისის 15 დან.

№ 163.

დანიშნულ იქმნახ: ბათომის ხაზინაში ნაფიც დამთვლელის თანამდებობაზედ აკაკი ბიჭის ძე ძიძიგური ამა წლის ივლისის 17 დან.

№ 164.

დანიშნულ იქმნას: ბათუმის ხაზინაში მოანგარიშე მოხელეს თანამდებობაზედ იოსებ ანდრიას ძე ვოდოლაკსკი ამა წლის ივლისის 12-დან.

№ 165.

დანიშნულ იქმნახ: ზესტაფონის ხაზინის 1-ლი ხარისხის მოლარე ვლადიმერ ასლანის ძე კუბლაშვილი ბათომის ხაზინაში უფროს მოლარის თანამდებობაზედ ამა წლის ივლისის 15-დან.

ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის უფროსი: ა. **კანდელაკი.**

არა ოფიციალური განყოფილება

გრაფ დე-მარტელის წასვლა

ამიერ კავკასიაში მყოფი საფრანგეთის უმაღლესი კომისარი გრაფი დე-მარტელი სექტემბრის 10 ტფილისიდან პარიზს მიემგზავრება ბათომსა და სტამბოლზე გავლით. მას თან ეხლება მაიორი პეშკოვი. გრაფმა დე-მარტელმა დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს შემდეგი გადასცა: სრული დარწმუნებით შემიძლია ვსთქვა, რომ საქართველოს მომავალი უზრუნველყოფილია. ორი წლის დამოუკიდებელი არსებობით ქართველმა ხალხმა გამოიჩინა პოლიტიკური ტაქტი და თავის ცხოვრების მოწყობის უნარი. საქართველოს მთავრობა, თავის სახელმწიფოებრივობის შექმნის საქმეში, ისეთი თანხმობით მუშაობდა ხალხთან, რომ ევროპის ყურადღებაც კი მიიპყრო, რომელმაც თითქმის ერთი წლის წინად ფაქტიურად იცნო მისი დამოუკიდებლობა. სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას მალე იურიდიულათაც აღიარებენ. რამდენადაც ვიცი საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრი სწორედ ამ მიზნით გაემგზავრა ევროპას დ სხვათა შორის საქართველოს მთავრობის შორსმჭვრეტელობა ამაშიც კი სჩანს. ჩემი მხრივ შემიძლია ვსთქვა, რომ საქართველოს იურიდიულად აღიარების მხურვალე დამცველი ვიქნები, როგორც კი ჩავალ პარიზს გავაკეთებ ვრცელ მოხსენებას, სადაც აღვნიშნავ ამიერ-კავკასიის და საქართველოს მდგომარეობას და იმასაც, თუ რას მიაღწია საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ეკონომიურ, პოლიტიკურ და სოციალურ აღმაშენლობის საქმეში. მე შევეცდები დავამტკიცო, რომ ქართველ ხალხს, რომელმაც აქამდი მაოღწია, სრული მორალური და ფაქტიური უფლება აქვს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებისა. მეორე საკითხი ისაა რომ მჭიდრო ეკონომიური კავშირი დამყარდეს საქართველოსა და საფრანგეთს შორის. საფრანგეთი რომ საქართველოთი დაინტერესებულია ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ საფრანგეთის მთავრობამ საქართველოში ლიცეიის გასახსნელად, თანახმად გრაფი დე-მარტელის შუამდგოლობისა, 1 მილიონი მანეთი გადასდო. ეჭვი არაა, რომ ასეთსავე ინტერესს გამოიჩენენ ვაჭარ-მრეწველთა და ფინანსისტთა წრეებიც საქართველოსთან ეკონომიურ დამოკიდებულების საკითხში. ამის იმედს სხვათა შორის იძლევა ახლახან დაარსებულ ფრანგთა და ქართველთა სავაჭრო-სამრეწველო პალატა. როგორც კი პარიზში ჩავალ, ვიშუამდგომლებ მთავრობის წინაშე, რომ ზემოდ დასახელებულ პალატას დახმარება აღმოეჩინოს. ღრმათა მწამს, რომ საქართველოს სიმდიდრე და ნედლი მასალა დიდათ დაინტერესებს საფრანგეთის კაპიტალისტებს და ეჭვი არაა, საფრანგეთი მიიღებს ზომებს საქართველოს საერთაშორისო და კერძოდ მისი ეკონომიური მდგომარეობის განსამტკიცებლად.

ინგლისი და საქართველო.

აგვისტოს 18, საქართველოს საგარეო მინისტრი ინგლისის ნალმოსანით ევროპას გაემგზავრა. გემის ადმინისტრაცია ე. გეგეჭკორს და მასთან ერთად საზღვარ გარეთ გამგზავრებულ მოიმარაგების მინისტრს ი. ჭავჭანიძეს და საქართველოს წარმომადგენელს ინგლისის მთავრობასთან ღამბაშიძეს დიდი პატივისცემით შეხვდა. აგვისტოს 21 ინგლისის გამანადგურებელი ბოსფორში შევიდა და მივიდა ინგლისის დრედნოუტთან „სკინის ჰერცოგთან“, რომელშიაც კონსტანტინეპოლში მყოფი ინგლისის უმაღლესი კომისარი და ფლოტის უფროსი დე-რობეკი ცხოვრობს. რამდენიმე წუთის შემდეგ განმანადგურებელთან მივიდა გენერალურ შტაბის უფროსი ფიშერი, რომელმაც ადმირალ დე-რობეკის სახელით განაცხადა, „დე-რობეკმა მომანდო მე ვეახლო და მივესალმო ძვირფას სტუმარს, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს და გარეშე საქმეთა მინისტრს ევ. გეგეჭკორს. ადმირალი უკვე საელჩოშია და უცდის მის მობრძანებას“.

შემდეგ გეგეჭკორი მისი თანამხლებლებით გავიდა ნაპირზე, სადაც მას უცდიდა ინგლისის საელჩოს მიერ გამოგზავნილი ავტომობილები. დამშვიდობებისას დ. ღამბაშიძემ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის სახელით მადლობა გადაუხადა გამანადგურებელის ადმინისტრაციას მოგზაურობის დროს გამოჩენილ მზრუნველობისა და განუსაზღვრელ პატივისცემისათვის. „ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მთავრობის ბრძანებაო“ უპასუხა პოლკოვნიკმა პოლასმა. კონსტანტინოპოლში ევგ. გეგეჭკორმა პირველად ყოვლისა ინახულა საქართველოს საელჩო, რომელსაც კიდევ არ ქონდა მიღებული ცნობა მთავრობის თავმჯდომარის ჩასვლის შესახებ. რცხილაძე და მისი თანამშრომლები აღფრთოვანებით შეხვდენ ევგ. გეგეჭკორს და მწუხარება გამოსთქვეს, რომ არ იცოდენ მისი ჩამოსვლა და ამიტომ ვერ შეხვდენ ისე, როგორც ეს საჭირო იყო. გეგეჭკორმა მეორე დღეს ადმირალი დე-რობეკი ინახულა. ინგლისის და საქართველოს წარმომადგენელების ბაასი ერთ საათზე მეტი გაგრძელდა. ამ ბაასის დროს დე-რობეკმა განაცხადა: „საქართველომ სამართლიანად დაიმსახურა დიდი ბრიტანეთის ყურადღება. ახალგაზრდა რესპუბლიკამ დაამტკიცა, რომ იგი ღირსია იურიდიულათ ცნობისაო. მე კატეგორიულად შემიძლია განვაცხადო, რომ ინგლისის მთავრობა ყოველ ზომებს მიიღებს, რომ უზრუნველყოს საქართველოს იურიდიული დამოუკიდებლობის ცნობა და მისი საერთაშორისო მდგომარეობა განამტკიცოსო“.

მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია

საქ. სოც.-დემ. ცენტრ. კომიტეტი.

„საქართველოს ს.-დ. ცენ. კომიტეტმა ვ. თევზაიას თავმჯდომარეობით დაადგინა, დაარსოს საგანგებო კომისია რომელსაც დაევალება მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის შეხვედრის საერთო გეგმის შემუშავება. კომისიის პირველი სხდომა სექტემბრის 6 შესდგა. სხდომაზე გამოირკვა, რომ დელეგაცია ბათომში სექტემბრის 14. ჩამოვა და იგი საქართველოში 10 დღეს დარჩება. კომისიამ განიხილა საკითხი ევრ. მუშ. კლ. შეხვედრის ცერემონიალისა და შეიმუშავა ზომები, რომელიც უნდა მიიღონ რომ დელეგაცია საქ. სახელ. აღმშენებლობით მუშაობას სავსებით გაეცნოს. მასალების დასამზადებლათ აირჩიეს კომისია, რომელშიც შედიან: გრ. გიორგაძე, დ. შარაშიძე და ვ. თევზაია.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

მილერანი მიტინგზე.

რეიტერის სააგენტოს ცნობით მილერანს ლეკენუას მიტინგზე შემდეგი უთქვამს: ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ მშვიდობიანობის დასამყარებლად. მოკავშირეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა ბუნებრივია, მაგრამ აზრთა ეს სხვადასხვაობა სრულებითაც არ ასუსტებს ერთმანეთისადმი პატივისცემასო.

მიტინგი რუსეთთან ზავის დასამყარებლად.

ბრიტანეთის მუშათა „მოქმედების საბჭომ“ მოაწყო მრავალი მიტინგი რუსეთთან ზავის ჩამოგდების სასარგებლოდ. ამავე მიზნით საბჭომ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიასთან მოლაპარაკება გამართა. ამის შესახებ „დეილე-მეილის“ ცნობით ლოიდ ჯორჯს განუცხადებია; ინგლისის მუშები ღია კარებში იჭრებიან, ვინაიდან მთავრობაც ღებულობს ზომებს ზავის ჩამოსაგდებად. ყოველი ცდა, რომ მთავრობას უკარნახონ ესა თუ ის პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა არღვევს ინგლისის დემოკრატიულ კონსტიტუციას და ამის გამო მთავრობა ასეთ ცდას ყოველთვის შეებრძოლებაო. გაზეთის ცნობით, ლოიდ ჯორჯს მოკავშირეების დამოკიდებულება რუსეთთან ასე დაუსურათებია: არც ინგლისი და არც საფრანგეთი არ ჩაერევა რუსეთის შინაურ საქმეებში, თუ რუსეთი თავს შეიკავებს და არ ჩაერევა სხვა სახელმწიფოების საქმეშიო.

პოლონეთში.

პოლონეთის დელეგატებს მინსკი სექტემბრის 3 უნდა დაეტოვებიათ. ძათი გამომგზავრების წინ შეადგინეს სხდომის ოქმი, რომელშიაც ოფიციალურად არის აღნიშნული, რომ მოლაპარაკება შეწყვეტილი არის მხოლოდ დროებით.

პოლონეთის მთავრობამ ჩიჩერინისაგან მიიღო რადიო დეპეშა რომლითაც იგი რიგაში მოლაპარაკების გადატანაზე თანხმობას აცხადებს.

საფრანგეთის მუსულმანები.

ბეირუთიდან იუწყებიან: მუსულმანების დღესასწაულმა ბაირამმა, რომელშიაც საფრანგეთის მმართველმა პირებმაც მიიღეს მონაწილეობა და საჩუქრები და ფქვილი დაარიგეს, საფრანგეთის სასარგებლო მანიფესტაციის ხასიათი მიიღო. ისლამური პრესა განსაკუთრებულ მადლობას გამოსთქვამს იმის გამო, რომ პარიზში მუსულმანური უნივერსიტეტი და მინარეთი ააგეს. ემირ ფეისალის გამგზავრების შემდეგ ბეირუთში სრული სიწყნარეა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საფრანგეთის საჰაერო ესკადრამ დამასკის მახლობლად ბედუინთა რამდენიმე მტრულად განწყობილი რაზმი გაფანტა.

ახალი სენი სკანდინავიაში.

სკანდინავიის ნახევარ კუნძულის სახელმწიფოებში თავი იჩინა ახალმა სენმა, „ძილის ავადმყოფობამ“. ამ სენით ავადმყოფთა 50% კვდება. ამ ახალ სენით მრავალი დაავადმყოფდა სტოკჰოლმსა და გესენბორგში.

პროფ. ციეიდლერის მოწოდება.

ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილია პეტროგრადის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის პროფესორ ციეიდლერის მოწოდება: მოვითხოვ მიექცეს ყურადღება იმ შემაძრწუნებელ მდგომარეობას, რომელშიც დღეს რუსეთი იმყოფება. არ შემიძლია გავჩუმდე, როდესაც ვუყურებ რუსეთის ტანჯვასა და მათხოვრობას და ნამეტურ კი პეტროგრადისას. პეტროგრადის მცხოვრებთა ბრძოლა შიმშილსა და სიცივესთან, თვეში ათი ათასობით სიკვდილი, მთლად ამოწყვეტის შიში ტიფისა და სხვა ავადმყოფობათა გავრცელების გამო, მომავალში აღარ უნდა შეიწყნაროს განათლებულმა კაცობრიობამ.

(გაზეთებიდან)

კროპოტკინის წერილი ინგლისის მუშებისადმი.

მარგარეტ ბონდფილდის, რომელიც ინგლისის მუშათა დელეგაციის შორის იყო გამოგზავნილი რუსეთში, უნახავს კროპოტკინი. კროპოტკინს წერილი გადაუცია ბონდფილდისათვის ინგლისის ერთ-ერო გაზეთში მოსათავსებლათ. კროპოტკინის წერილი მოათავსეს გაზეთ „ტაიმსში“. წერილში კროპოტკინი რუსეთის რევოლიუციას ანალიზს უკეთებს და დაასკვნის, რომ რუსეთის რევოლიუციას საფრანგეთის რევოლიუციისათვის მიბაძვა უნდოდა, მაგრამ მან სულ სხვა გზაზე გაიარა. კროპოტკინის აზრით რუსეთის რევოლიუცია, რომელიც ემყარება ერთ ცენტრალურ კომუნისტურ პარტიის დიქტატურას, უეჭველია მარცხით უნდა დათავდეს. ამისთანა პიროებებში ქვეყანა წინ ვერ წაიწევს და ვერ განვითარდება ვერც პოლიტიკურად და ვერც ეკონომიურად. ძველი წესწყობილების მოსპობის მაგივრად ისინი ხელს უწყობენ მის აღდგენას.

ბიუროკრატიზმი იქნება ისე არას დროს ყოფილიყოს გაძლიერებული, როგორც ეს ბოლშევიკურ ქვეყანაში. სოციალურ იდეის განსახორციელებლად არ კმარა მარტო დეკრეტები და ბრძანებები. ამისთვის საჭიროა რომ ხალხი იყოს მომზადებული, განვითარებული და შეეძლოს ეკონომიურ ცხოვრების განვითარება. კროპოტკინი წერილში რჩევას აძლევს ინგლისის მუშათა კლასს რომ ინგლისის მუშებმა არავითარი სიმპატია არ იქონიონ ბოლშევიკებისადმი. ის დაპირებანი და აღთქმანი, რომელსაც პირდებიან ბოლშევიკები სრულიად სინამდვილეს არ შეეფერებაო.

ქალების მოთხოვნილება.

სოფიაში შესდგა ქალთა საზოგადოების კონგრესი. კონგრესს დაესწრო ოცდა ცამეტი ქალი. კონგრესზე გამოჯანილი იყო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ ქალებს უნდა მიენიჭოთ არჩევნების და ხმის მიცემის უფლება. ამას გარდა კონგრესი მოითხოვს ქალთა სასწავლებლების რეფორმას.

ბელაკუნი პეტროგრადში.

საბჭოთა გაზეთების ცნობით აგვისტოს 20-ს პეტროგრადში ბელაკუნის ჩასვლის გამო ზინოვიოვის თავმჯდომარეობით შესდგა გაერთიანებული პეტროგრადის საბჭოთა კრება. ზინოვიოვის მისალმების შემდეგ ბელაკუნმა კრებას განუცხადა, რომ რუსეთს მიესალმება ძველი მსოფლიო პროლეტარიატი. ბელაკუნმა აღნიშნა ჰუნგრეთის პროლეტარიატის დამარცხება და თანაც სთქვა, რომ ჰუნგრეთის თეთრი არმიის გამოლაშქრება რუსეთის წითელ არმიის წინააღმდეგ უშედეგოდ დარჩება და ახლო მომავალში, ბელაკუნის აზრით, რევოლიუციის ტალღები შემოვრტყმება არა მარტო ჰუნგრეთს, არამედ ჩეხო-სლოვაკიასაც.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

მოსკოვის ცნობები.

სამხედრო ცნობა ეკ. 6. ბელოსტოკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრძოლა ცვალებადია. გრუბეშოვის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მტერი დაამარცხა. წამოიყვანა 200 ტყვე, როგატინის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტრის ფრონტი გაარღვია და ბრძოლით აოდკამენი აიღო, წამოიყვანა ტყვეები და ხელთ 4 ზარბაზანი. **ყირიმის მხარე.** პერეიასლავის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტრის იერიშები მოიგერია და მას დიდი ზარალი მიაყენა. ჩვენმა ჯარმა გაანადგურა მტრის 3 ტანკა. აქედან ორი ჩვენ დაგვრჩა.

ნეაპოლის მუშები.

ნეაპოლში ლიმონის მუშებმა ხელში ჩაიგდეს ქარხნები.

მკვლელობა პეტროგრადში.

აგვ. 31 პეტროგრადში მოხდა საზიზღარი მკვლელობა ფინეთის კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტისა და აქტიური წევრებისა. სალამოს, მუშათა კლუბის შენობაში, როდესაც პარტიის წევრთ კრება ჰქონდათ შემოიჭრენ შეიარაღებული ფინები და რევოლვერის ტყვიით მოჰკლეს ცენტრ. კომიტეტის 2 წევრი და პარტიის პასუხის მკებელ პირებს

სროლა აუტეხეს. სროლის დროს დაიჭრა და მოკვდა 7 ამხანაგი, ბოროტების ჩადენის შემდეგ ბოროტმოქმედნი წავიდენ, მაგრამ მათ იარაღი აჰყარა სროლის ხმაზე მოსულმა მილიციამ. საქმის გამოძიება მიენდო კომისიას დზერჟინსკის თავმჯდომარეობით, რომელმაც მალე აღმოაჩინა ფინელ თეთრ გვარდიელთა მოფიქრებული გეგმა.

ფრანგული პრესა.

მილერანი და დელაკრუა.

შაბათს მილიერანს ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა ბელგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დელაკრუასთან. ბაასი შეეხებოდა საერთო პოლიტიკურ საკითხებს, რუსეთ-პოლონეთის კონფლიქტის საკითხში შეთანხმდენ, რომ ორივე სახელმწიფომ გაერთიანებულად იმოქმედოს. სამხედრო შეთანხმებით ძალაში შესვლა რამდენადმე ბრკოლდება, რადგანაც საჭიროა, რომ სამხედრო ექსპერტებს მიეცეს დრო ზოგიერთ დეტალში შეთანხმებისა.

გაზ. „მატენი"-ს განცხადება.

გაზეთი „მატენი" გენერალ ავარესკუს დავალებით აცხადებს, რომ ბუქარესტის მოლაპარაკებას აზრთა გამოცვლა-გამოცვლის ხასიათი ჰქონდა და რაც შეეხება შეთანხმებას, ამაზე ჯერ ლაპარაკი ნაადრევია.

ლიონის ცნობები.

ინცინდენტი ბრესლავლში.

გერმანიის საგარეო საქმ. მინისტრმა შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად კვირას ინახულა ბერლინში მყოფი საფრანგეთის ელჩი და ბრესლავლში მომხდარ ინცინდენტის გამო გერმანიის მთავრობის სახელით ბოდიში მოიხადეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, სწერს ამის შესახებ „ჟურნალ დე დება", რომ ჩვენ თავიდანვე ასეთი ზომების მიღებით გერმანიის ხალხს დახმარებას ვუწევთ. რამდენიმე მწარე გამოცდილების შემდეგ დარწმუნდებიან, რომ მათი იმედი რევანშის შესახებ არაფერზე არ არის დამყარებული და მაშინ მთელ თავის ძალას შინაურ აღმშენებლობას მოანდომებენ. ეს კი სასარგებლო იქნება, როგორც გერმანიისათვის, ისე ჩვენთვისაც და საერთოდ მთელი ქვეყნისათვისაც. (დამახინჯებულია).

მარნის ბრძოლის ექვსი წლის თავი.

კვირას მიოლში მილიერანის, საფრანგეთის მარშლების და მრავალ გამოჩენილ მოღვაწეების თანდასწრებით მარნის ბრძოლის პირველ გამარჯვების ექვსი წლის თავი იდღესასწაულეს.

სტამბოლიდან მოსული ცნობით ქემალისტების ჯარის უფროსთა შორის უთანახმოება გაჩენილა უშაკმს ოკუპაციასა და ესკიშარზე საბერძნეთის ჯარების თავდასხმის გამო.

გერმანიის საქონელი.

გერმანიამ 1919 წლიდან 1920 წლ. ბრიტანეთში შეიტანა 10.027.000 გირვანქა სტერლინგის საქონელი. შეიტანა უმთავრესად ქიმიური პრეპარატები, საღებავები და სხვა ინგლისს კი ამავე ხნის განმავლობაში შეუტანია 23.196.000 გირვანქა სტერლინგად ღირებული საქონელი.

ახალი ამბები

მომარაგების ფონდი. მუშათა მაგიდა იუწყება: მომარაგების ფონდში ახალ წევრის ჩაწერა ჯერ-ჯერობით შეჩერებულია.

ტფილისის ერობა. სექტ. 5 ასათიანის თავმჯდ. გაიხსნა ტფ. სამაზრო ერობის ხმოსანთა მერვე ყრილობა. გადასწყვიტეს, რომ საკითხები ფრაქციებს გადასცენ განსახილველად. დღისით მოხდება ფრაქციების სხდომები.

სწავლის დაწყება. სახალხო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ წინაღმდეგ გავრცელებული ხმებისა, სწავლა ყველა საფეხურის სკოლებში დაიწყება აუცილებლივ 15 ენკენისთვეს, ხოლო განმეორებითი გამოცდები კი ენკენისთ. 8.

მაიორ მაყაშვილის ხსოვნის აღნიშვნა. დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ დამფ. კრების პრეზიდიუმთან შეთანხმებით აღძრა საკითხი, რომ დაღუპულ სამხედრო მფრინავ მაიორ მაყაშვილის ხსოვნა მთავრობამ უკვდავყოს.

ტფილისის ხაბაეო. ტფილისის საბაჟო ამით აცხადებს დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ საბაჟოში 15 ენკენისთვიდან 1920 წ. მუშაობა იწარმოებს: კანცელარიაში დილის 9 საათიდან ნაშუად. 3 საათამდე. სალაროში—დილის 9საათიდან ნაშუად. 2 საათამდე. საწყობში დილის 8 საათიდან ნაშუად. 4 საათამდე. საქონლის სადგურზე დილის 7 საათიდან ნაშუად, 3 საათამდე.

საფრანგეთის ახალი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიაში. დე-მარტელი იუწყება: საფრანგეთის უმაღლეს კომისრათ ამიერ-კავკასიაში იქნება შევალე, პარიზის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი, „ტანის" თანამშრომელი, რომელიც უკანასკნელ წლების განმავლობაში საფრანგეთის წარმომადგენლათ იყო ნორვეგიაში. დროებით საფრანგეთის წარმომადგენელის მოვალეობას შეასრულებს საფრანგეთის კომისარი ნეტემანი.

გერმანიის მისიის შუამდგომლობა. გერმანიის მისიამ შუამდგომლობა აღძრა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წინაშე, რათა მის წარმომადგენელს უფლება მისცენ დამფუძნებელ კრების ბიბლიოთეკით სარგებლობისა. დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

კონსტიტუციის პროექტი. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგმა ს. მდივანმა გადასცა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას პოლონეთის კონსტიტუციის პროექტთა კრებული, რომელიც მას პოლონეთის მისიისაგან მიეღია.

სამკურნალო დახმარება. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა აღძრა საკითხი დამფუძნებელ კრების მოსამსახურეთათვის სამკურნალო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია. მთავრობის თავმჯდომარემ რომიდან გვარჯელაძესაგან მიიღო ასეთი შინაარსის რადიო: სექტემბრის 4-ს გამოვედით ტარენტოდან. სექტემბრის 14-ს ბათომს ვიქნებით. საქართველოში მოდიან: კარლ-კაუტსკი, ლუიზა კაუტსკაია, ინგლისიდან: მაკდონალდი, ტომას შოუ, და ქ-ნი სნოუდენი, საფრანგეთიდან: რენოდელი და მარკე, ბელგიიდან: ვანდერველდე, გუიუსმანსი, გიუსმანსის ქალი გიუსმანსის მეუღლე და დებრიუკერი. სულ 15 კაცი.

საქართველო და რუსეთი. სექტემბრის 8 საღამოს 6 საათზე, ფინანსთა სამინისტროს ბინაზე მოხდება ამავე სამინისტროს საბჭოს საგანგებო სხდომა, სადაც გაირჩევა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დასადებ ხელშეკრულების პროექტი. ამ პროექტით უნდა იხელმძღვანელოს გ. მახარაძის ეკონომიურმა მისიამ, რომელიც სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად ამ დღეებში რუსეთს მიემგზავრება.

ფოსტა-ტელეგრაფის განცხადება. ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველო აცხადებს, რომ ხუთშაბათს 9 ენკენისთვეს დასახელებულ სამმართველოს ეზოში 12 საათზე დანიშნულია შეჯიბრება ერთი საშუალო ტანის ცხენის გაყიდვის შესახებ. დამსწრეთათვის სავალდებულოა შეჯიბრების დაწყების წინ წარმოადგინონ 2000 მანეთი. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება მანამდისაც ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს საფოსტო განყოფილებაში (პლეხანოვის პრ. № 43).

გასწორება. ქალაქის თვითმართველობიდან დელეგაციის შესახვედრ მომწყობ კომისიაში არჩეულია არა კონიაშვილი, როგორც ეს შეცდომით იყო გამოცხადებული, არამედ ფანიაშვილი.

პური მუშებისათვის. შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდა იუწყება, სექტემბრის ექვს მუშებსა და მოსამსახურეებს პური მხოლოდ ნაწილობრივად მიეცა. ეს გამოიწვია 4 წისქვილის გაფუჭებამ და მაშასადამე ფქვილის უქონლობამ. მიღებულია ზომები, რომ პურის მიწოდება მუშებისა და მოსამსახურეებისადმი წესიერათ სწარმოებდეს.

საჰაერო დამოკიდებულება საქართველოსა და ევროპას შორის.

საქართველოსა და ევროპას შორის საჰაერო დამოკიდებულების მოწყობის საკითხი დაინტერესებულ წრეებში სერიოზულ ყურადღებას იპყრობს. ამ საკითხის შესახებ საავიაციო როტის წარმომადგენელი მაიორი სტროევი იუწყება:

ფრენოსნობის ტეხნიკამ უკანასკნელ დროს განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. შესაძლებელი გახდა სახელმწიფოებს შორის ნორმალური საჰაერო დამოკიდებულების მოწყობა. ეს საკითხი უახლოეს დროში საქართველოსათვისაც უნდა გადაწყდეს. პირველ რიგში შესაძლებელია საჰაერო დამოკიდებულების მოწყობა საქართველოსა და ბულგარეთის, რუმინიის, სერბიის და საბერძნეთის შორის, მეორე რიგში საქართველოსა და ავსტრო-უნგრეთის, გერმანიის, საფრანგეთის და იტალიის შორის და შემდეგ საქართველოსა და ისპანიის, ინგლისის, შვეიცის და ნორვეგიის შორის. საჰაერო დამოკიდებულების მოწყობა შეიძლება აგრეთვე საქართველოსა და რუსეთს შორისაც. ეხლა, როდესაც ეკონომიური აღმშენებლობა არ გვაძლევს საშვალებას ერთი წუთის დაკარგვისასაც, როდესაც ამერიკის ლოზუნგია: დრო ფულია, ეხლა საჰაერო დამოკიდებულებას ეკონომიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საილუსტრაციოთ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: ლონდონ—ტფილისის საჰერო გზის გავლა, რომელიც 5.300 ვერსტს უდრის 52 საათში შეიძლება. ამაში შედის ის დროც, რომელიც დასჭირდება სევასტოპოლში, ბუდაპეშტში და კელნში შესვენებას.

ტფილის—პარიზის დაფარვა შეიძლება 45 საათ. ტფილის—ბერლინის გზის 34 საათი, ტფილის—რომის—33 საათი, ტფილის—ვენის—27 საათი, ტფილის—ათინის—20 საათი, ტფილის—ბუხარესტის—18 საათი. ჩვეულებრივი სისწრაფე სამგზავრო აპარატისა საათში 150 ვერსტია. ყველაზე დიდი სამგზავრო აეროპლანები არის იტალიის ეგრეთ წოდებული კაპრონის ტრიპლანები.

სია

იმ მოქალაქეთა, რომლების შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტრო, თანახმად სხვა და სხვა პირის თხოვნისა, შეეკითხა საქართველოს წარმომადგენელს ბაქოში და მიიღო შემდეგი პასუხი:

1) პეტრე პავლეს ძე ანდრეევსკი, ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში მსახურობს, კარგათ არის.

2) ვიქტორი ალექსის ძე შალიბაშვილი დაპატიმრებულია განჯაში, საქართველოს წარმომადგენელის მიერ აღძრულია შუამდგომლობა მის განთავისუფლების შესახებ.

3) მიხეილ ხარანოვი განთავისუფლებულია და მალე ტფილისში გამოემგზავრება.

4) სოლომონი და დავითი ჩიჯავაძეები კარგათ არიან და პირველ შესაძლებლობის თანავე ტფილისს წამოვლენ.

5) სერაფიმე ვასილის ძე ბაკულო ბაილოვის ციხეში ზის, ბრალდება სამი ბოლშევიკის მოკვლა და მისჯილი აქვს ათი წლის იძულებით მუშაობა.

6) ახალციხის ქალაქის გამგეობის ცნობისათვის საქართველოს წარმომადგენელი ბაქოში იტყობინება, რომ მოქალაქე ილია ხარმიშვილი (იგივე ხარამ დავიდაშვილი) და მოქალაქე იოსები აბრამის ძე ნოდიაშვილი ბაქოში არ ირიცხებოდნენ და არც ამ ჟამად ირიცხებიან.

7) კონსტანტინე ტერ-აბრამოვი დაპატიმრებული არ ყოფილა. ნებართვა მიღებული აქვს და პირველ შესაძლებლობის თანავე ტფილისს წამოვა.

ევროპათა კავშირის მოწოდება.

საქართველოს პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ცხოვრებამ დასავლეთ ევროპის ხელმწიფოთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და ამ ბოლო დროს მომქმედი პოლიტიკური პარტიები ძლიერ დაინტერესა.

საქართველოს მალე ესტუმრება საზღვარგარეთიდან საგანგებო დელეგაცია სოციალისტებისა. დელეგაციაში შედიან ცნობილი წარმომადგენელნი და მეცნიერნი სოციალიზმისა დასავლეთ ევროპაში. დელეგაცია უეჭველათ მოისურვებს ადგილობრივ საქართველოში პოლიტიკურ ძალების ნამოქმედარს და საქართველოს ეხლანდელ ეკონომიურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სხვ. მდგომარეობას. ამ შემთხვევაში უმთავრესი და პირველი მომწოდებელი ცნობებისა, რასაკვირველია ერობების ერთეულები იქნებიან, რომლებიც არიან ადგილობრივ ყოველივეს გამომხატველნი და მომქმედნი.

აღნიშნულის მიხედვით სამაზრო ერობათა გამგეობანი, უეჭველათ დაუყონებლივ შეუდგებიან სათანადო სამზადისს, ეხლავე მოახდენენ საჭირო განკარგულებებს თემების მიმართ და დაამზადებენ ყოველივე მასალას, რომელიც შეიძლება მოითხოვოს დელეგაციამ ან რომლის გადაცემა სასურვველია.

ერობათა კავშირი ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ ერობათა ერთეულები, როგორც სამაზრო ისე თემების, ყოველივეს იღონებენ და შექმნიან სათანადო პირობებს რათა მომავალმა დელეგაციამ თავის თვალით ინახულოს, თუ რა გაკეთდა საქართველოში ამ ორი წლის განმავლობაში მიუხედავათ იმისა, რომ ქართველ ხალხს ერთ ხელში ხმალი ეკავა და ეხლაც უკავია შემოსეულ მტერთა მოსაგერებლათ და ასალაგმავათ.

შრომის სამინისტროს

ცირკულიერები.

თანახმად დამფუძნებელ კრების 1919 წლის 13 დეკემბრის დეკრეტისა (იხ. საქართველოს რესპუბლიკა 21 დეკემბერი 1919 წ. № 289) ავადმყოფობის დროს მუშათა დამზღვევის დებულების მე-65 მუხლის შეცვლისა, შრომის სამინისტრომ დაადგინა:

1. იმ პირთა გადასახადი საავადმყოფო კასაში, რომელთა დღიური ხელფასი აღემატება 600 მანეთს, ან წლიური 180000 მან. გამოიანგარიშება 600 მანეთიდან დღეში".

2. დადგენილება ძალაში შედის 1920 წლის 1 აგვისტოდან.

შრომის კომისრებს, შრომის სამინისტროს რწმუნებულებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების სისრულეში მოყვანას.

—

თანახმად დამფუძნებელი კრების 16 აგვისტოს დეკრეტისა დასახიჩრებულთა პენსიების გადიდების შესახებ ჯამაგირების რაოდენობის ცვალებადობასთან შეფარდებით (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 24 აგვ. № 190), შრომის სამინისტრომ დაადგინა:

1. იმ პირთ, რომელთა წლიური ჯამაგირი აღემატება 180.000 მან. დაზღვევის რაოდენობის გამოანგარიშებაში მიღებულ იქნება მხოლოდ ეს თანხა.

2. აღნიშნული დადგენილება ძალაში შედის ა. წ. 1 იანვრიდან.

შრომის კომისრებს და შრომის სამინისტროს რწმუნებულებს წინადადება ეძლევათ თვალყური ადევნონ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას.

შრომის მინისტრის ამხანაგი **ალ. ბახტაძე.**

ხელოვნება.

სამუსიკო სასწავლებელი.

დიდის სურვილით და თანაგრძნობით დაარსდა ქ. სიღნაღში ფილიალური განყოფილება ქართ. სამუსიკო საზოგადოებისა. ყველა დაწესებულებამ ქალაქის თვითმართველობამ, ერობამ, კოოპერატივთა კავშირმა გადასდო ერთდროულად თანხა სამხედრო ორკესტრის ინსტრუმენტების შესაძენათ 100,000 მან. თვიურად 8.000 მან. დაენიშნა კაპელმეისტერს, სიმღერა-გუნდის და ფორტეპიანოს მასწავლებლებს. ახლად დაარსებულ ფილიალურმა განყოფილებამ მიმართა მთავარ გამგეობას, რათა მან ორგანიზაციულად მოაწყოს ქ. სიღნაღის სამუსიკო სკოლა.

სახელმწიფო თეატრის კომისრის განცხადება.

დრამატიულის, ბალეტის და ამგვარ სკოლების გახსნის მსურველთ უნდა მიმართონ თხოვნით სახელმწიფო თეატრის კომისარს, რომელიც იშუამდგომლებს სახალხო განათლების მინისტრთან ნებართვის აღების შესახებ.

ფოსტა-ტელეგრაფში

სია ჩაუბარებელ დეპეშებისა

5 სექტემბრისა.

წალენჯიხიდან—ვანუციანცს; ბათომიდან—ქემპელს; ბათომიდან—იკოლის; ახალქალაქიდან—დემირ-ჩოგლიანცს; ბარღუჩიდან—ჯოლუგულას; გაგრიდან—ხონელიძეს; ბორჯომიდან—ხოდღოსკის; ხიდისთავიდან—თოთიბაძეს; სუხუმიდან—ჯაბადარს; ჯაკახიდან—ლეკვიაშვილს; თელავიდან—ბარსკის; საჭამისერიდან—რაზმაძეს; სოხუმიდან—მელნიკოვს; საწირიდან—პატარიძეს; ოზურგეთიდან—ბაბოევს; მუხიანიდან—ტაბატაძეს; ბარგიდან—ჭელიძეს; ჯელალოღლიდან—მიკირტუმოვს; ბათომიდან—ლივშიცს; იქიდანვე—მასვე; მლეთიდან—ზოლოტარევს; ქობულეთიდან—ალექსანდროვს; რიონიდან—ტოლიაძეს; ბათომიდან—ჯაფაროვს; ბათომიდან—ჩოლოკაევს; გურჯაანიდან—იეშვილს; რიონიდან—მუმკუდიანს; ჩოხატაურიდან—კაბარდინს; ეკატერინოვკიდან—კონს; გორიდან—ჭელიშვილს; ბათომიდან—ჯაიანს;

შემოსავალი.

ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას ივლისში შემოსვლია საფოსტო ოპერაციებისაგან 4.203000 მან. სატელეგრაფო განყოფილებისაგან 4.560000 მან. ტელეფონებიდან 2.240000 მა. სულ შემოსავალი ყოფილა 11.003.000

წარსულ წლის ამავე თვეში გაცილებით ნაკლები ყოფილა შემოსავალი.

ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გახსნა.

ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებანი გაიხსნა წინანდალში(თელავის მაზრა) და თერჯოლაში (შორაპნის მაზრა).

ტფილისი-კავკავი.

ფოსტა-ტელეგრაფის უწყების კონტრაგენტმა შეიძინა რამოდენიმე ავტომობილი და უწყობს საავტომობილო მიმოსვლას ტფილის და კავკავს შუა.

ზ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა პასპორტი, მიღებული წელასკურის თემიდან, ს.-დემოკრატიული პარტიის ბარათი, პურის რაციონი და ტრამვაის კოოპერატივის წიგნაკი გაბო ჩაჩანიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2616 3—2

დაიკარგა ატესტატი № 180. თამარ გაბუნიას სახელზედ, ქუთაის წმინდა ნინოს სასწავლებლის კურსის დამთავრების შესახებ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2617 3—2

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო, თანახმად გრიგოლ კაჭკაჭოვის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს უვადო ბაშფორთი და სხვა საბუთებიც, სთხოვს მნახველებს აღნიშნული საბუთები წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 1613 3—2

დაიკარგა საკრედიტო მოწმობა მიღებული ლიანდაგის უფროსისაგან, შტატ გარეშე დატოვების დახმარების მისაღებად № 122. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2606 3—2

დაიკარგა კონსტანტინე ანტონის ძე იოსელიანის სახელზე 1) პირადობის მოწმობა გზის უფროსიდან, 2) ღია ფურცელი, საქართველოს დიპლომატიური მისიისაგან სომხეთში, 3) წლიური პირველი კლასის ბილეთი საქართველოს რკინის გზებზედ სასიარულოდ და 4) წლიური ბილეთი პირველ კლასის სომხეთის რკინის გზაზედ სასიარულოდ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2581 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში მარიამ სოფრომ. დობროტინისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი კონსტან. მიხეილის ძე დობროტინი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 31 იანვარს 1916 წ., უკვალოდ დაიკარგა 1918 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ დობროტინის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 2558 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ვორონცოვის ქუჩაზე № 64 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ასლან შახ ვალადოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2588 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 193 მილიციელი ა. ნ. ხოშტარიას სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2583 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 3834 ივანე ნიკიტის ძე არხიპოვის სახელზე, მიღებული ტფ. ჰოლიცმეისტრის სამმართველოდან 1910 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2594 3—3

დაიკარგა ტფილისის მე-6 ვაჟთა გიმნაზიის კურსის დამთავრების ატესტატი № 798 ვარლამ მდინარაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2596 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული გეორარის საქართველოს ნაციონალურ მამულიდან, პედაგოგიურ კურსის დამთავრების მოწმობა სტავროპოლში და სხვა საბუთები გერმან კუზმას ძე აგრიზკინის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2697 3—3

დაიკარგა ტფ. რეალური სასწავლებლის 6 კლ. დამთავრების ატესტატი და მე-7 კლ. დამთავრების მოწმობა ბარის ბარისის ძე ტაუნლეის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2699 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი იუსუპ კასიმოვის სახელზე, მიღებული ტფ. მდებიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებად ჩაითვალოს. 2605 3—2

დაიკარგა დამფუძნებელი კრების წევრობის მოწმობა, კახეთის რკ. გზაზე მგზავრობის 1 კლ. ბილეთი და ს.-დ. პარტიის გურიის სამაზრო კომიტეტიდან მიღებული საწევრო ბარათი და სხვა საჭირო საბუთები გიორგი მურვანიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2608 3—2

დაიკარგა შოფერობის მოწმობა № 20 დავით პოპოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის თვითმართველობის საინჟინერო განყოფილებიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2627 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ნახახულევის საერობო თემიდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ალექსანდრე ანტონის ძე ძიძიგურის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2578 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ვასო ზურაბის ძე კოლიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2580 3—3

დაიკარგა პასპორტი ევდოკია დანიელის ასული ტიოტუშკინას სახელზე, მიღებული სარატოვის გუბერნიაში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2582 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ტიგრან გიორგის ძე გაბრიელოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2585 3-3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ალექსი შარაძის სახელზე, მიღებულ ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს (უფ.) 3—3

დაიკარგა პასპორტი № 6468 ვარლამ ონუფრის ძე ჩიქოვანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2592 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში სიმონ დავითის ძე ელენტმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი მარგალიტა სტანისლავის ასული ელენტისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერი 1910 წელს უკვალოდ დაიკარგა 1915 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ მარგალიტა ელენტის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 2591 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ხარაგოულის უბნის მილიციის უფროსისაგან და სამხედრო აღრიცხვის მოწმობა, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან მილიციონერ იასონ ხარაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2568 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ბაბილუგის ქუჩაზე № 34 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ჩაიკოვსკის, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2572 3—3

სამხედრო სასამართლო აგვისტოს 21 გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებით თანახმად სამხედრო სასამართლოს წარმოების წესდების 951 მუხ. ეძებს ყოფილ შავი ზღვის სანაპირო რაზმის ჯარის კაცს ქუთაისის გუბერნიის, ბასილეთის საზოგადოების ს. ბუკნარის მცხოვრებ, სვიმონ ივანეს ძე დოლიძეს, 23 წლისას, რომელიც მიცემულია სასამართლოში ბოროტმოქმედებისათვის გათვალისწინებულ პუნ. „გ" 131 და 132 მუხ. XXII წიგნ. ს. დ. კ. 1869 წ. მე 4 გამოცემით.

ყველა, ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული დოლიძე ვალდებულია აცნობოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩ. № 32. 872 3—3

დაიკარგა პასპორტი სურათით მიხეილ კონსტანტინეს ძე დოლიძის სახელზე, მიღებული საქართველოს კონსულისაგან ბათომში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2569 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი კირკის ქ. № 35 და ელისაბედის № 69 ქ. კუთხეში მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ძმ. ვასილოვებს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2575 3—3

დაიკარგა იარაღის მოწმობა № 130,984, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან, მოწმობები, მიღებული ტფ. სამაზრო ეროგიდან და მოწმობა ტფ. ტეხნიკუმიდან— მიხეილ სიმონის ძე ქომურჯიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2642 3—1

დაიკარგა გორის ვაჟთა გიმნაზიის მე-5 კლასის მოწმობა № 30 ევგენია ნიკოლოზის ასული ყულიჯანოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

დაიკარგა მილიციონერობის მოწმობა სურათით სურქიას რუსტანის ძე სტეპანიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2637 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დავით იოსების ძე მაჭავარიანის სახელზე, შედგენილი გორის ნოტარიუსის მიერ 1920 წ. ივლისის 30-ს რეესტრით № 272. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2636 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მდებიო მოქალაქეთა სამმართველოდან № 344 და სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ანუშავან ავეტიკას ძე თარხანიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2625 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 1565-1520 ავეტის მარკარის ძე გლიჩევის სახელზე, მიღებული ნუხის პოლიციის სამმართველოდან 1910 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2621 3—1

დაიკარგა სამსახურის ნუსხა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და პასპორტი, ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. კოსტა ნიკიტის ძე კურეგოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2623 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 517 ეფრემ კაიშაურის სახელზე, მიღებული სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სათადარიგო ცხენოსანთა განყოფილებიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2624 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 482 ალექსანდრე კოტეს ძე ძე მურმანიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2628 3—1

დაიკარგა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის დამთავრების ატესტატი და მეტრიკული მოწმობა, მიღებული სინოდალური კანტორიდან ბარბალე ანტონის ასული წულუკიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2630 3—1

საქართველოში არსებული სომეხთა ეპარქიალური კონსისტორია ეძებს ყაზარა ნასყიდას ძე სოლომონოვს მის ცოლთან სალენიკა ავეტისას ასული სოლომონოვთან განქორწინების შესახებ. 2470 1—1

ჭიათურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამ. საქ. წარმ. წესდებ., იწვევს მემკვიდრეებს გადაცვალებულის არსენა გიორგის ძე დარბაიძის ქონებაზე, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლებანი ხსენებულ ქონებაზე 1241 მუხ. მე-X ტ. ნაწ. I აღნიშნულ ვადაში. 2562 1—1

აღბულაღის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სოფ. დაღეთხაჩინში მოქალაქის გევორქ ავეტიკის ძის ალავერდიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლებები განსვენებულის ქონებაზე მე-1241 მუხლ. 1 ნაწ. X ტომ. სამოქალაქო კანონში აღნიშნულ ვადით. 2563, 1—1.

1920 წელს ივლისის 21-ს სოხუმის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ დაამტკიცა შესასრულებლად, შედგენილი 13 აპრილს 1919 წელს, ანდერძი, გარდაცვალებულის პავლე დავითის ძე რეკვავასი. 2474. 1—1

სუფსის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს მოქაული ალ. გ. კვაჭაძე აცხადებს, რომ 1920 წლის ოქტომბრის 2-ს დილის 10 საათზე სოფ. გრიგოლეთში სოფიო სიხარულიძის სახლში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მისდამი კუთვნილი მოძრავ ქონებაზე, რომელიც შესდგება სპილენძის ჭურჭლებისა და ხის ავეჯისაგან ვლადიმერ კუკულავას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად სუფსის უბნის მომრიგებელი მოსამართლის აღმასრულებელი ფურცელისა 27 მაისიდან 1920 წლისა. № 687, ქონება შეფასებულია 5,500 მანეთად. 2634 1—1

ნაოღალევის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, იწვევს გარდაცვალებულ სოფ. ნახარეშოუს მცხოვრების ევთიმე პეტრეს ძე გვალიას მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავიანთი უფლება ევთიმე გვალიას სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზედ სამოქ. კრებ. მე 10 ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2635 1—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ანტონი თედორეს ძე კაჭარავამ შემოიტანა განაცხადა, რომ მისი ცოლი ალექსანდრა პავლეს ასული კაჭარავა რომელზედაც ჯვარი დაიწერა 9 ნოემბერს 1914 წელს უკვალოდ დაიკარგა 1917 წლიდან, რის გამოთხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ ალექსანდრა პავლეს ასულისა მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 2615 3—1

ქ. ტფილისის მე 17 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს ფოკა ნიკოლოზის ასულ სერიოგინს რათა იგი დაესწროს საქმის გარჩევას 1920 წ. სექტემბრის 20-ს შესახებ 1000 მან. მასთან ძიებისა ანნა არხიპოვის მიერ ცურგენევის ქ. № 4. 2587 3—1

ყვარელის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებული ყვარელში მცხოვრებელი პელაგია სეფაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავის უფლება სეფაშვილის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზედ სამ. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2564 1—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო, თანახმად ანტონ გრიგოლის ძე ბათმანაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს სხვა და სხვა კვიტანციები და უვადო პასპორტი, მიცემული ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან 13 ივლისს 1920 წ. № 628, სთხოვს მნახველებს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოშიდ ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. 2485 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლო, თანახმათ 1920 წ. ივლისის 26-ს დადგენილებისა, რომელიც შედგა ექიმ სერგია ნილის ძე ნახიმოვის უკვალოდ დაკარგვის გამო და ახალგაგრაში მის ქონებაზე მეურვეობის დანიშვნის გამო, თანახმათ 1451 მუხ. სამოქ. სასამ. წესდ., იწვევს ექიმს სერგია ნილის ძე ნახიმოვს დასახელებულ ოლქის სასამართლოში ზემოაღნიშნულ საქმეზე, ან გამოაცხადოს თავისი ბინადრობა ათი წლის განვლამდე დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჩაითვლება უკვალოდ დაკარგულათ, რასაც მოჰყვება კანონში აღნიშნული შედეგი, ამასთანავე სოხუმის ოლქის სასამმართლო იწვევს ყველას, ვინც იცის ბინადრობა დასახელებული ექიმი ნახიმოვისა ან მისი სიკვდილი შეატყობინონ სასამართლოს, და მასთან იწვევს ყველას მათ, ვისად აქვს უფლება მემკვიდრეობისა ექიმი ნახიმოვის ქონებაზე გამოუცხადოს თავისი უფლება ამავე სასამართლოს ზემოაღნიშნულ ვადაზე. 2478 1—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 406 ივანე იაგორის ძე იარალოვის სახელზე, მიღებული სიღნაღის ქალაქის თვითმართველობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2632 3—1

1920 წ. ივლისის 21-ს სოხუმის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ დაამტკიცა შესასრულებლათ ანდერძი, გარდაცვალებულის 31 მირტს 1920 წელსა თომა ბაგირის ძე შანავასი. 24ᲖᲗ 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი